ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების

მედია მონიტორინგი

2010 წლის 4 – 12 მარტი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რაოდენობრივი კვლევა

2010 წლის 5 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 9 ფაქტია მოკვლეული.

მოკვლეული 9 ფაქტიდან ცხრავე ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 9 ფაქტი ასე განაწილდა: 3 ნეგატიური, 2 პოზიტიური და 4 ნეიტრალური გაშუქება.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა ხუთმა გაზეთმა 7 სტატიაში. ამ 7 სტატიაში მოკვლეული 7 ფაქტიდან 2 ნეგატიური შინაარსისა იყო, 2 პოზიტიური და 3 ნეიტრალური. უმცირესობები გააშუქა მხოლოდ ერთმა ტელეარხმა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) მოკვლეული 2 ფაქტიდან 1 იყო ნეგატიური, ხოლო მეორე ნეიტრალური შინაარსის გაშუქება.

აღსანიშნავია ის, რომ საანალიზო პერიოდში (5 - 11 მარტი) მონიტორინგის ქვეშ მყოფ ხუთ ტელევიზიაში არც ერთი სიუჟეტი არ ეხებოდა რელიგიურ უმცირესობებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამავე ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 82 შეადგინა.

საანალიზო პერიოდში კვლავ აღინიშნებოდა პროფესიული სტანდარტის დარღვევების შემთხვევების სიმრავლე. გამოვლენილი ფაქტების მესამედში პროფესიული სტანდარტებია დარღვეული. საანალიზო პერიოდში უმცირესობების ნეგატიური გაშუქების ფაქტები მოკვლეული იქნა გაზეთებში „ახალი თაობა“ და „ასავალ-დასავალი“, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლ არხზე.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

დისკრიმინაცია ეთნიკური/რელიგიური ნიშნით/ სტერეოტიპების დამკვიდრება

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლი არხის 20:00 საათიან „მოამბეში“, 11 მარტს გავიდა სიუჟეტი თბილისის მეეზოვეების შესახებ.

”ყვითელფორმიანი მეეზოვეები წარწერით „ვარ ჩემი ქალაქის მეეზოვე“ თბილისის ქუჩებში ზუსტად სამი წლის წინ გამოჩნდნენ. ეს ის ადამიანები არიან, ვისაც ქალაქის სუნთქვა ესმის. დღეს თბილისს სხვადასხვა ასაკის სამი ათასი მეეზოვე მიდის. მათ შორის ნარინა უსოიანი – ეროვნებით ქურთი მეეზოვე.
ქუჩებს უკვე 36 წელია გვის. როგორია ნარინა უსოიანის მოგონება თბილისზე და რას ნიშნავს მისთვის საქმე, რომელსაც აკეთებს. „ადამიანები ისტორიით“ დედაქალაქის ერთ-ერთი მეეზოვის ცხოვრებით დაინტერესდა.
. . .
ნარინა უსოიანი ამაყობს, რომ საკუთარი ქალაქის მეეზოვეა. გული იმაზე წყდება, რომ მის შრომას სხვები არ აფასებენ და ქუჩებს ხშირად ანაგვიანებენ. ჩვენი ქალაქის მეეზოვეებმა იციან, რომ ხვალ ამ ადგილას აუცილებლად დაბრუნდებიან და თბილისის გაღვიძებას დაელოდებიან.”

ეს სიუჟეტი პოზიტიურ გაშუქებად ჩაითვლებოდა, რომ არა სიუჟეტის პერსონაჟის ეთნიკური წარმომავლობის ხსენება. ჯერ ერთი, სიუჟეტის გმირის ეთნიკური წარმომავლობა არ არის არსებითი სიუჟეტის თემისთვის. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენს და ინფორმაციული თვალსაზრისით არაფერს ჰმატებს სიუჟეტს. პირიქით, ეს სტერეოტიპული აზროვნების გამოხატულებაა – იმ სტერეოტიპის ტიპური მაგალითი, რომლის მიხედვითაც ყველა მეეზოვე ქურთია. ასევე ხდება ეთნიკური წარმომადგენლების ერთი ჯგუფის საქმიანობის განზოგადება მთელ ეთნოსზე და საქართველოში არსებული სტერეოტიპის გაძლიერება.

2. ნეგატიური გაშუქების მაგალითია 12 მარტის გაზეთ „ახალ თაობაში“ №59 (5135) გამოქვეყნებული სტატია „სააკაშვილი ბერეზოვსკის ბათუმში საიდუმლოდ შეხვდა“.

”რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა ბათუმში საზეიმო ვითარებაში გახსნა თურქული სკოლა. სამაგიეროდ, ბათუმში ქართული სკოლა დაუნგრევიათ, რის გამოც შაშიაშვილი გამწარებულია. აჭარის მოსახლეობასთან შეხვედრისას მას გაურკვევია, რომ სააკაშვილის გარემოცვის გარდა აჭარა თურქებსაც ჩაუგდიათ ხელში.

თეიმურაზ შაშიაშვილი: ხალხი შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ ბათუმში ქართული სკოლა დაანგრიეს და მის ნაცვლად ხელისუფლებამ თურქული სკოლა გახსნა. აჭარა თურქების ხელშია ჩავარდნილი, რასაც პრეზიდენტის დედა, თურქოლოგი გიული ალასანია კურირებს.”

ეს არის ქსენოფობიური განცხადება. საკითხების ასეთი გაშუქება აღვივებს შუღლს ეთნოსებს/ერებს შორის. სტატიის ავტორი და შესაბამისად, გაზეთის

რედაქცია არ გამოხატავს ასეთი განცხადებების საპირისპირო პოზიციას, რაც იმას ნიშნავს, რომ იზიარებს ციტატის ავტორის შეხედულებას.
გარდა ამისა, ინფორმაცია ქართული სკოლის გახსნის შესახებ და მის სანაცვლოდ თურქული სკოლის აშენების თაობაზე, ისევე როგორც პრეზიდენტის დედის კავშირი აღნიშნულ სკოლასთან ეყრდნობა მხოლოდ ერთი წყაროს, კერძოდ თემურ შაშიაშვილის განცხადებას და არ არის გადამოწმებული სხვა დამოუკიდებელ წყაროსთან, რითაც დარღვეულია პროფესიული სტანდარტის მუხლი (ინფორმაციის წყარო), რომელიც ფაქტების სხვა დამოუკიდებელ წყაროსთან გადამოწმებას ითვალისწინებს. ამავე სტანდარტის თანახმად, თუ ინფორმაციის გადამოწმება ვერ ხერხდება, ჟურნალისტი ვალდებულია, გააკეთოს შესაბამისი დათქმა.

3. ასეთივე ქსენოფობიური და შუღლის გამღვივებლური განწყობისაა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (№ 10 (806); 8-14 მარტი, 2010) გამოქვეყნებულია ინტერვიუ არმენოლოგ ბონდო არველაძესთან. სტატიის სათაურში გამოტანილი რესპონდენტის ციტატაც კი - *„თუ ასე გაგრძელდა, როგორც ქართული ეკლესიების საძირკველზე ააშენეს სომხური ეკლესიები, ისე საქართველოს ნანგრევებზე დააფუძნებენ „ველიკაია არმენიას!“* - ამის აშკარა გამოხატულებაა.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად

4. გაზეთ „ბათუმელებში“ (№8 (330); 10-17 მარტი, 2010) გამოქვეყნებული სტატია „ბათუმის თეორი სინაგოგა“ ეთნიკური უმცირესობის გაშუქების პოზიტიური მაგალითია.

5. ეთნიკური საკითხის პოზიტიური გაშუქების მაგალითია გაზეთ „ახალ თაობაში“ (№59 (5135); 12 მარტი, 2010) გამოქვეყნებული სტატია – „ჩვენ პუტინს არ ვეთამაშებით“. სტატია ეხება რუსეთ-საქართველოს მატჩს, რომელიც თურქეთში უნდა გაიმართოს. საქართველოს ნაკრების პრეზიდენტი გია ნიჟარაძე მოუწოდებს ქართველ გულშემატკივრებს, კორექტულად მოექცეს რუს მორაგბეებსა და გულშემატკივრებს:

”ძალიან ბევრი ცუდი ინფორმაცია წავიკითხე სხვადასხვა ფორუმზე. მათ გასაგონად ვიტყვი – ჩვენ არ ვეთამაშებით პუტინს და პატივს ვცემთ მოწინააღმდეგე გუნდსა და მის გულშემატკივარს. რუსეთის რაგბის ფედერაცია ერთადერთი იყო, რომელიც გამუდმებით კითხულობდა 2008 წელს საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს. კრასნოიარსკში მაყურებელი ყველა ჩვენს კარგ თამაშს ტაშით აფასებდა. მეც ამ ქვეყნის შვილი ვარ და კარგად მესმის ყველაფერი, გულიც შემტკივა, მაგრამ ის ემოცია, რომელიც ზოგიერთებს უკვე სურთ, აგრესიით გამოხატონ, ვთხოვ, მხურვალე გულშემატკივრობაში დახარჯონ. თუ რუსეთის ჰიმნზე ვინმეს პროტესტის გამოხატვა სურს, ნუ იქნება ეს სტვენით, ზურგის შექცევითა და მსგავსი ფორმებით, რადგან იქ იქნება ძალიან ბევრი ქვეყნის ტელევიზია, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ მატჩით. გავითვალისწინოთ ისიც, რომ 5 000-მდე ქართველ გულშემატკივართან ერთად სტადიონზე იქნება 150 რუსი გულშემატკივარი, რომლებმაც უკვე იციან, რამდენი ქართველი დახვდებათ სტადიონზე, მაგრამ მოდიან სარაგბო ვაჟკაცური სულისკვეთებით. ამიტომ მათთვის შეურაცხყოფის მიყენება იქნება სრულიად უმსგავსი საქციელი. გაითვალისწინეთ, იქ ჩვენ მასპინძლები ვართ და არ დაგვავიწყდეს სტუმარმასპინძლობის ქართული წესები.”

კონტრასტისთვის საინტერესოა კვლავ გადავხედოთ ბიულეტენის მეორე და მესამე პუნქტებს და კიდევ უფრო აშკარა გახდება ის დარღვევები, რომელიც წინა შემთხვევებში იყო დაშვებული რედაქციის მიერ.

6. სტანდარტის დაურღვევლად არის გაშუქებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის პრობლემა გაზეთ „რეზონანსის“ (№063(6289); 12 მარტი, 2010) სტატიაში „მარტოხელა დედა შიმშილობას აპირებს“.

”სიღნაღში, ცოტნე დადიანი ქუჩა 1-ში მცხოვრები მატილდა მირზოევა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის მისაღებში, პროტესტის ნიშნად, უვადო შიმშილობის დაწყებას აპირებს. ამის შესახებ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, მირზოევა მესამე წელია საცხოვრებელი სახლის შესასვლელთან მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას უშედეგოდ ითხოვს. სიღნაღის გამგეობამ მირზოევების ოჯახს აღნიშნულ ტერიტორიაზე უალკოჰოლო სასმელების გაყიდვაც აუკრძალა. ცოტა ხნის წინ წინააღმდეგობის გაწევის მიზეზით მირზოევები პოლიციელებმა დაარბიეს, მატილდა მირზოევა და დედამისი დააკავეს და დააჯარიმეს.

საბოლოოდ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მირზოევების სახლის შესასვლელთან მდებარე მიწის ნაკვეთი თავად დაირეგისტრირა. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სიღნაღის გამგეობის წარმომადგენელმა კახი ღვინიაშვილმა განუცხადა, გამგეობამ მიწის ნაკვეთი შესაძლოა, გაყიდოს.

მატილდა მირზოევა მარტოხელა დედაა და ორ მცირეწლოვან ბავშვს ზრდის”.

ეს სტატია შეიძლება შევადაროთ 1-ლი არხის ზემოაღნიშნულ სიუჟეტს (შენიშვნა №1), რომელიც ნეგატიურ გაშუქებად ჩაითვალა ეთნიკური წარმომავლობის მოხსენიების გამო.

ამ სტატიაში „რეზონანსის“ ჟურნალისტს სავსებით მართებულად არ მოუხდენია მარტოხელა დედის ეთნიკური წარმომავლობის იდენტიფიცირება, ვინაიდან ეთნიკური წარმომავლობის ხსენება არავითარ საინფორმაციო ღირებულებას ან საზოგადოებრივი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს გასაშუქებელ პრობლემასთან მიმართებით.

7. ნეიტრალური გაშუქების მაგალითია სტატია „გადარჩენის ერთადერთი გზა მშვიდობაა“, რომელიც გაზეთში „ჯორჯიან ტაიმსი“ გამოქვეყნდა (№9 (575); 11-18 მარტი, 2010).

”გასაოცარია, როდესაც ჰუიტი თითქმის არ ახსენებს რუსეთს: ქვეყანას, რომელსაც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ათასობით სამხედრო ჰყავს განთავსებული, რომელიც აიძულებს იქ დარჩენილ ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობის მიღებას და რომელმაც სასტიკი ეთნიკური წმენდის კამპანიებით საკუთარი სახლებიდან თანმიმდევრულად გამოდევნა აფხაზეთის ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი - 350 000-ზე მეტი ქართველი და სხვა ეროვნების ადამიანი. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია - ჩვენ ერთად მშვიდობით უნდა ვიცხოვროთ. პრობლემა ის არის, ამას როგორ უნდა მივაღწიოთ.”

8. ეთნიკური უმცირესობების ნეიტრალური გაშუქებაა ასევე „ჯორჯიან ტაიმსის“ (№9 (575); 11-18 მარტი, 2010) სტატია „რა დააბარა ედუარდ კოკოითმა ვაჟა ხაჭაპურიძეს საქართველოს ხელისუფლებასთან?“

”არ შეიძლება, რომელიმე ჩვენგანმა თქვას, რომ არ გვჭირდება ოსი ან ქართველი, რადგანაც შერეული ოჯახები საკმაოდ ბევრია. ეს ურთიერთობები იმდენად მჭიდროა, რომ ამის განცალკევება, დაშორება არ შეიძლება. ახლა არსებული ზიზღის სინდრომის მოხსნაზე და ნდობის ფაქტორის აღდგენაზე ერთად უნდა ვიმუშაოთ.”

9. ნეიტრალურ გაშუქებად ითვლება ასევე სიუჟეტი ირაკლი ალასანიას ეთნიკურ უმცირესობებთან შეხვედრის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლი არხის 20:00 საათიან „მოამბეში“, 11 მარტს.

თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშოროისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.